საქართველოს
ფოლკლორის
სახელმწიფო
ცენტრი

2016 წლის IV კვარტლის ანგარიში

❖ 6 ოქტომბერს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ ქართული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის კიდევ ერთი, ღვაწლმოსილი ლოტბარი დააჯილდოვა. სამინისტროს უმაღლესი ჯილდო „ხელოვნების ქურუმი“ ფოთის სალოტბარო სკოლის დირექტორს ეროდი ტიკარაძეს გადაეცა

❖ 20 ოქტომბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ინტერიერისა და ავეჯის დიზაინერის ნინო არევაძის ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით - „ვარიაციები თემაზე ძველი თბილისი“

❖ 23 ოქტომბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომლები იმყოფებოდნენ ახალქალაქის სალოტბარო სკოლაში. მივლინების მიზანი: ახალქალაქის სალოტბარო სკოლის შემოწმება და მონიტორინგი.

- 1 ნოემბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომლები იმყოფებოდნენ ბაღდათის სალოტბარო სკოლაში. მივლინების მიზანი: ბაღდათის სალოტბარო სკოლის შემოწმება და მონიტორინგი.

- 4 ნოემბერს, საქართელოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გაიხსნა თვითნასწავლი მხატვრების ნანა მჭედლიშვილისა და მირანდა სეიდიშვილის ნამუშევრების გამოფენა

❖ 10 ნოემბერს ბათუმში, ბიბლუსის გალერეაში კრებულის ,,აჭარული ტრადიციული მუსიკა“ პრეზენტაცია გაიმართა. პროექტის ფარგლებში დამუშავდა ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულებისა და ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ფონდებში დაცული საექსპედიციო ჩანაწერები, შეიკრიბა ფოლკლორული ანსამბლების მიერ სხვადასხვა დროს შესრულებული აჭარული ნიმუშები. ჩანაწერების კრებული მომზადდა და გამოიცა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ერთობლივი ძალისხმევით.

❖ 24 ნოემბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა თვითნასწავლი მხატვრის ირმა დეკანოზიშვილის პერსონალური გამოფენა. გამოიფინა მხატვრის 20-მდე ნამუშევარი: გრაფიკა, ფერწერა.

❖ 28 ნოემბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომლები იმყოფებოდნენ ონისა და ამბროლაურის სალოტბარო სკოლებში. მივლინების მიზანი: ონისა და ამბროლაურის სალოტბარო სკოლების შემოწმება და მონიტორინგი.

- 14 დეკემბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გაიმართა წიგნის „როსტომ გოგოლაძის" პრეზენტაცია, რომელიც გამოიცა საქველმოქმედო ფონდ ,,ქართული გალობის" თანადგომით

❖ 14 დეკემბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრსა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

მემორანდუმი ითვალისწინებს:

- მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის აღსაზრდელების ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აქტივობებში მონაწილეობას, ჩართვასა და დასწრებას
- ფოლკლორის დარგების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, ფოლკლორის ცენტრის სპეციალისტების კონსულტაციებსა და ტრენინგებს
- სხვადასხვა პროექტში ურთიერთდახმარებასა და ჩართულობას.
- ღონისძიებების ჩასატარებლად ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ინფრასტრუქტურის გამოყენებას

- 22 დეკემბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა საზოგადოებას საქმიანობის სამწლიანი ანგარიში წარუდგინა. ღონისძიება შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის სამეჯლისო დარბაზში გაიმართა. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმეს საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლმა ,,ბასიანმა" და მგალობელ გოგონათა გუნდმა „იალონმა“. ღონისძიების დასასრულს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ, ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, ტრისტან სიხარულიძეს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის უმაღლესი ჯილდო „ხელოვნების ქურუმი“ გადასცა

- 23 დეკემბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა თვითნასწავლი მხატვრების - მიხეილ ფანჯიკიძის და რევაზ გომელაურის პერსონალური საშობაო გამოფენა.
  გამოიფინა ხის მხატვრული დამუშავების და ფერწერის 100-მდე ნიმუში.

- გამოსაცემად მზად არის დისკი საარქივო აუდიოჩანაწერები. (კასპი, ქვემო ჭალა.) კომპაქტდისკზე წარმოდგენილია სიმღერა-დასაკრავები ქვემო ჭალის ფოლკლორული ანსამბლის, ქართლის და ამავე სოფლელი და-ძმის, იოსებ და ნადია ისერგიშვილების რეპერტუარიდან.

- გამოსაცემად მზად არის დავით ჯავრიშვილის ანთოლოგია

- მიმდინარეობსმუშაობა მონოგრაფიაზე -„რაჟდენ ხუნდაძე"

- მიმდინარეობს მუშაობა კრებულზე -„ქართული საეკლესიო გალობის ანთოლოგია“.

- მიმდინარეობს მუშაობა ცენტრის ახალი ვებ.გვერდის www.folk.gov.ge შევსებაზე. მომხმარებელს უკვე საშუალება აქვს გაეცნოს აღნიშნულ საიტზე განთავსებულ მასალებს.

- მიმდინარეობს ინტენსიური საქმიანობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საქართველოს რეგიონებში წარმომადგენლობების გახსნასთან დაკავშირებით.

❖ რეგულარულად ვუწევთ რეკომენდაციებს შემოქმედებით თუსაორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა ანსამბლების ხელმძღვანელებს, მომღერლებს, ქორეოგრაფებსა და მოცეკვავეებს, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებსა და მხატვრებს, მთქმელებს, სახალხო თეატრების რეჟისორებს და ასევე სხვადასხვა რაიონის კულტურის სამსახურისუფროსებს.

❖ ყოველდღიურად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივის შესავსებად.